4
ქ-666

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

ქორიძე ელისო

# წინდებულების კლასის შევსებისა და ფუნქციონირების გაფართოების ტენდენციები თანამედროვე გერმანულ ენაში

სპეციალობა: 10.02.04 — რომანულ - გერმანიკული ენათმეცნიერება

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

## ავტორეფერატი

45
10. XII 2001

თბილისი
2001

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

**ქორიძე ელისო**

# წინდებულების კლასის შევსებისა და ფუნქციონირების გაფართოების ტენდენციები თანამედროვე გერმანულ ენაში

-1834-

სპეციალობა: 10.02.04 — რომანულ - გერმანიკული ენათმეცნიერება

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

## ავტორეფერატი

თბილისი
2001

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის გერმანული ფილოლოგიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვიოლა ფურცელაძე**

ოფიციალური ოპონენტები: 1.ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მანანა პაიჭაძე**(10.02.04)
2. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **რუსუდან თაბუკაშვილი** (10.02.04)

დისერტაციის დაცვა შედგება 2001 წლის "12" "დეკემბერ" 14⁰⁰ საათზე თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის P 10.02.07 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (380028 ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1, კორპ. I). 392.093

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. (380047 ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2)

ავტორეფერატი დაიგზავნა 2001 წლის "5" "ნოემბერ"

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი: /**გ.ი. წიბახაშვილი**/

## სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

**<u>თემის აქტუალობა.</u>** წინდებულები ქმნიან სიტყვათა კლასს, რომელშიც ორი ფენაა წარმოდგენილი. ძველი (პირველადი) ფენის გვერდით განუწყვეტლივ წარმოიქმნება ახალი (მეორადი) ფენა. გერმანული ენის მეტყველების ნაწილთა სისტემაში წინდებულები კვალიფიცირებულია, როგორც სიტყვათა კატეგორია, რომლის საზღვრებიც ნათლად არ არის გამოხატული. მკვლევარებს განსხვავებული აზრი აქვთ წინდებულების რაოდენობრივი შედგენილობისა და სტატუსის შესახებ, ერთი მიმართულების მიხედვით (ჰ.გლინცი), წინდებულები წარმოადგენენ არა დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულებს, არამედ განსაზღვრულ სიტყვათა სუბკლასს **(Fügewörter, Fügeteile).** მეორე (ვ. იუნგი, ვ. შმიდტი) თვლის, რომ საერთოდ არ შეიძლება მათი მიჩნევა მეტყველების ნაწილად. მკვლევართა უმეტესობა (ჰ.ბუილონი, ჰ.გენცმერი) აღიარებს წინდებულებს დამოუკიდებელ სიტყვათა კლასად, თუმცა კამათი წინდებულების რაოდენობრივი შედგენილობისა და მეტყველების ნაწილთა იერარქიაში მათი ადგილის შესახებ კვლავ გრძელდება.

ზოგი ძველი წინდებული ხმარებიდან გამოდის და მის ადგილს ახალი ერთეული იკავებს. წინდებულების მეორადი ფენის განვითარება განსაკუთრებით შეინიშნება მმართველობის, სამართლისა და მასმედიის ენებში. ისინი დგანან განვითარების სხვადასხვა საფეხურზე - სპეციფიური მნიშვნელობის მქონე სახელადი ჯგუფებიდან **(im Fall(e), in Betreff, um Willen)**, მონოლითური ფორმის მქონე ენობრივ ერთეულებამდე **(infolge, inmitten, diesseits)**. ახალი ლექსიკური ერთეულებისათვის წინდებულის სტატუსის მინიჭება დაკავშირებულია ბევრ სიძნელესთან. არის მთელი რიგი სიტყვებისა, რომლებსაც ადრე სხვა დანიშნულება ჰქონდათ, ხოლო ახლა ძველი ფუნქციები დაკარგეს. ისინი ნაწილობრივ იძენენ წინდებულებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, თუმცა, ამასთან ერთად, ინარჩუნებენ გენეტიკურ კავშირს წინამორბედ სიტყვათა კლასთან. თანამედროვე გერმანულ ენაში გვხვდება აგრეთვე გარკვეული რაოდენობის ომონიმური სიტყვები, რომლებიც ასრულებენ როგორც წინდებულების, ასევე ზმნიზედების, კავშირებისა და ზმნური პრეფიქსების ფუნქციებს. ენათმეცნიერული გერმანისტიკის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად რჩება ამ ლექსიკური ერთეულების რაობის გარკვევა და ფუნქციების დადგენა.

**<u>კვლევის დონე.</u>** წინდებულების პრობლემის დამუშავების დონე, ენათმეცნიერულ გერმანისტიკაში, შეიძლება ითქვას, საკმაოდ მაღა-